ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4478617

ნომერი: AR1676860

თარიღი : 22.04.2019

გაცემის თარიღი : 30.04.2019

გაცნობის თარიღი : 30.04.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მელიქიშვილი , N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი შარაშიძე პ/ნ 01009004220
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. კორ. 6 ბ. 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 06 იანვრის №3026884 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 22 აპრილს №AR1676860 განცხადებით მომართა მოქ. ირაკლი შარაშიძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 06

იანვრის №3026884 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 06 იანვრის №3026884 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქ. N10-ში, ს.ს. "m2 უძრავი ქონების" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტიდა გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 08 იანვრიდან 2018 წლის 08 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2017 წლის 10 აგვისტოს № 3461428 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 06 იანვრის №3026884 ბრძანებაში და დამკვეთად სს "m2 უძრავი ქონების" ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „მ2 მელიქიშვილზე“ (ს/კ კოდი: №404537747).
სამსახურის 2017 წლის 13 ოქტომბრის № 3610477 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2017 წლის 06 იანვრის №3026884 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში და დამხმარე ფართობად დაფიქსირდა 1036.05 კვ.მ, სასტუმროს ნომრების ფართობად 2986.01 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 1233.18 კვ.მ და საერთო ფართობად 11137.27 კვ.მ.
სამსახურის 2019 წლის 12 აპრილის №445620 ბრძანებით შეთანხმებული +2 სართულის გეგმა (+9.650 ნიშნულზე) ჩანაცვლდა 2019 წლის 10 აპრილის №AR1674097 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2017 წლის 06 იანვრის №3026884 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კერძოდ: საერთო ფართობად 11137.27 კვ.მ-ის ნაცვლად 11141.09 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 1233.18 კვ.მ-ის ნაცვლად 1237.00 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 06 იანვრის №3026884 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 06 იანვრის №3026884 ბრძანებაში და საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 1237.00, საერთო ფართობი 11141.09 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 06 იანვრის №3026884 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 06 იანვრის №3026884, 2017 წლის 13 ოქტომბრის № 3610477 და 2019 წლის 12 აპრილის №445620 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.